ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ
ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




პარასკევი, 26 თებერვალი, 2016 | №47 (6973) | ფასი: 50 თეთრი

# „ნაცმოძრაობა ლენინივით დავტოვეთ დაუმარხავი"

გვ.2



## კარლო კოპალიანი: „მიშა მაჭავარიანს გადაეცით, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან"



## ბიძინა გუჯაბიძე: „ივანიშვილს არ მოეწონება ის, რაც კოალიციაში ხდება"



„ქართული ოცნება" ამ ეტაპზე არ დაიშლება"

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: „რესპუბლიკელებმა თოფაძის რეიტინგი საგრძნობლად გაზარდეს"




გვ.4

## მურმან დუმბაძე: „კოალიცია უნდა დაიშალოს"

გვ.3







„ქვეყანა ფეოდალური მეთოდებით იმართება"

## ნინო ბურჯანაძე: „ყველაფრის რესპუბლიკური პარტიისთვის გადაბრალება არასწორია"



გვ.4

## პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე ანა დოლიძის კანდიდატურა წარადგინა

გვ.4





გვ.3

## გიორგი ქადაგიძე: „მემუარების წერა ჯერ ძალიან ადრეა"

ISSN 1987-9385
9 771987 938006

# „ნაცმოძრაობა ლენინივით დავტოვეთ დაუმარხავი“

## კარლო კოპალიანი: „მიშა მაჭავარიანს გადაეცით, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან“

შორენა მარსაგიშვილი

რას ნანობს ხელისუფლება, ვინ ეწევა მარიხუანას პარლამენტში, რას ელოდებიან ნაციონალების მიერ დაანონსებული აქციისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **კარლო კოპალიანი** ესაუბრება.

***– 6 მარტს ნაციონალები გრანდიოზული საპროტესტო აქციის გამართვას აპირებენ. რას ფიქრობთ ამაზე „ქართულ ოცნებაში“?***

– სანამ ამ აქციაზე დავიწყებდე საუბარს, მინდა მიხეილ მაჭავარიანს გამოვეხმაურო, რომელიც „ახალი თაობის“ ფურცლებიდან იქით სვამს კითხვებს, მოიცათ, არ გჯერათ, არჩევნებს რომ მოვიგებთო. წარმომიდგენია, რა გაოცებული თვალები ექნებოდა, ამას რომ ამბობდა. ნაციონალს არჩევნების მოგების იმედი რომ ექნება, იქ კომენტარიც ზედმეტია, მაგრამ მაინც მინდა რაღაც ვთქვა. მაჭავარიანს გადაეცით, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანთქო.

ძალიან ცუდად შემოგვიტრიალდა ის, რაც ჩვენი ჰუმანურობით დაგვემართა. წიწილების დათვლისა არ იყოს, ამასაც ხატოვნად ვიტყვი, 2012 წელს გარდაიცვალა ნაციონალური მოძრაობა და ჩვენ ის დაუმარხავი დავტოვეთ.

***– და ახლა რა მოხდა, მიცვალებული წამოდგა?***

– წამოდგომით აწი ველარ წამოდგება, მაგრამ დაუმარხაობა მაწუხებს მაგათი. ახლა მეტყვით, ალბათ, დაუმარხავი ლენინიც კი არისო. ასეა ეგ ამბავი, მაგრამ იმას ბალზამირება მაინც აქვს გაკეთებული. ამათთვის ბალზამიც არ გაგვაკეთებინეს და კოაბიტაცია გამოგვაყენებინეს.

დაუმარხავი და დაუბალზამებელი მკვდარი ირგვლივ ყველაფერს წამლავს. ამიტომ 2016 წელს აუცილებლად უნდა დავმარხოთ ნაციონალები, ცხადია, პოლიტიკურად.



***– ისინი იქით ამბობენ, ჩვენ დავმარხავთ „ქართულ ოცნებასო“ და რომელს უნდა დაგიჯეროთ მკითხველმა?***

– კაცო, ზემოთ არ გითხარით, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანმეთქი!? შემოდგომაზე ითვლიან პოლიტიკურად გარდაცვლილებსაც. საქმეები ისე მიდის, პოლიტიკურად ძალიან ღრმად ჩავფლავთ და იქიდან ვერასდროს ამოვლენ. ყველაფერი აქეთკენ რომ მიდის, ამას თავადაც გრძნობენ და ამიტომაც ცდილობენ ქვეყანაში სიტუაციის არევას. ამიტომაც მოიგონეს ეს აქცია.

***– ნაციონალები ამტკიცებენ, რომ თქვენ გაწყობთ არეულობა.***

– ჩვენ არაფერში არ გვაწყობს, მოგონილია ეს ამბავი. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არცერთ ხელისუფლებას არ აწყობს არეულობა.

***– აბა, 2012 წელს ოპოზიციაში მყოფი მეოცნებეები რატომ ამტკიცებდით, რომ სააკაშვილს არეულობა სურდა?***

– რომ იცოდეთ, მიშასაც არ უნდოდა არეულობა, უბრალოდ, თავად იყო არეული. ამის ნიადაგზე ჩამოაყალიბა პირსისხლიანი ძალა, რომელმაც გააუბედურა მთელი საქართველო. ნაციონალებისნაირები არა ვართ, თორემ მაგათ მივაგებდით იმას, რაც ეკუთვნოდათ, მაგრამ არ ვართ ჩვენ სადისტები.

***– სადისტურ მოქცევას არც არავინ ითხოვს, მაგრამ სამართლიანობის აღდგენაც არ შეიძლებოდა?***

– სამართლიანობაც აღვადგინეთ, სრული მასშტაბით – არა, მაგრამ პროცესი დავიწყეთ. ვინც ამ თემაზე ყვირის, დამიჯერეთ, ჩანერგილები არიან. ხომ ხედავთ, ამასაც კი კადრულობენ და ცდილობენ, ხალხი ყველანაირად გაალიზიანონ. თითქოს ის არ არის საკმარისი, რაც აქამდე დამართეს ხალხს. თემურ-ლენგსა და მის ლაშქარს არ უქნია ის, რაც სააკაშვილმა და მისმა სადისტებმა ჩაიდინეს.

***– თემურ-ლენგმა, მგონი, უფრო დიდი უბედურება დაატრიალა.***

– არა მგონია, მაგრამ, მოდით, ეს თემურ-ლენგი არ დამიწეროთ, თორემ ვიღაცა რაღაც პარალელს გაავლებს.

***– თოფაძის მურვან ყრუსთან გაავლებენ?***

– გაუჭირდებათ თუ რა? იტყვიან, საფლავიდან წამოყარეს დამპყრობლებიო.

***– მოდით, დამპყრობლებს მართლა შევეშვათ და ნაციონალების მიერ დაანონსებულ აქციას მივხედოთ.***

– კი ბატონო, მივხედოთ. 6 მარტს ერთიანი ნაციონალური მოძრაობისგან სასწაულ აქციას ველოდები.

***– ხუმრობთ თუ მართლა რამეს ელოდებით?***

– ხომ გითხარით, სასწაულს ველოდები. ისეთივე საოცარი აქცია იქნება, როგორიც გასული წლის მარტში ჩაატარეს. ახლავე გეტყვით, რომ ეს აქცია იქნება „გრანდიოზული“ და ხალხი რუსთაველზე ველარ „დაეტევა“.

ერთი იმათ თავში ჩამახედა, ვინც მაგათ აქციაზე მივა. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ თავიანთ ნათესავებს მიიყვანენ, ნაწილს კი, როგორც სჩვევია, ფულს გადაუხდიან.

***– ვისაც გაზპრომის შემოსვლა არ უნდა და ისე წავა იმ აქციაზე, იმათ თავშიც გინდათ ჩახედვა?***

– გაზპრომის შემოსვლა შესაძლოა მეც არ მინდოდეს, მაგრამ პრობლემას უნდა შევხედოთ სახელმწიფოებრივი თვალით.

***– ნაციონალები ამბობენ, რომ საკითხს სახელმწიფოებრივად უდგებიან და ამტკიცებენ, რომ, გაზპრომის შემოსვლის პარალელურად, საქართველოს რუსეთში მიათრევთ.***

– ის არ უთქვამთ, როგორ მივათრევთ? ეშელონს ჩავაბით და ისე ჩაგვყავს რუსეთში ქვეყანა? სირცხვილი არაა, რომ ამაზე იღებენ ხმას? თავადაც გადასცეს ყველაფერი რუსეთს და გაზპრომი რატომ შემოგყავთო? არის სადმე სხვა ალტერნატიული ძალა და უარს ვამბობთ? არის ირანიც, მაგრამ იქიდან გაზის შემოსატანად მოლაპარაკებებია საჭირო. იყო იქ ჩასული კალაძე, მაგრამ ერთი შეხვედრა არ კმარა.

კარგად იციან ნაციონალებმა, რომ გაზპრომის შემოსვლა საქართველოსთვის სახიფათო არაა, ისიც იციან, რომ რუსულ ორბიტას არავინ უბრუნდება, მაგრამ რაღაცაზე ხომ უნდა იყვირონ. ნაციონალებს დიდი სურვილი აქვთ, საქართველო გაზის გარეშე დარჩეს, რათა შემდეგ არეულობის დასაწყებად საბაბი ჰქონდეთ.

სწორად იკითხა იმ დღეს ჩემმა კოლეგა გიგა ბუკიამ, რუსული გაზი თუ არ შეიძლება, მარიხუანა რატომ არის დასაშვებიო.

***– თქვენც ეთანხმებით ბუკიას მოსაზრებას, რომ მარიხუანა რუსულ გაზზე საშიშია?***

– მაგათთვის მარიხუანა კი არა, კოკაინიც მისაღებია. მათი ლიდერი ათას უბედურებას ყნოსავდა და ეწეოდა. წინა მოწვევის პარლამენტში დიმიტრი ლორთქიფანიძე შემოვიდა ინიციატივით, რომ ყველა საჯარო მოხელეს ჩაეტარებინა შემოწმება ნარკოტიკებზე. ის ითხოვდა, რომ შემოწმება თმის ღერის მეშვეობით მომხდარიყო.

ნაციონალებმა, რომლებსაც მაშინ პარლამენტში უმრავლესობა ეკავათ, კატეგორიული უარი თქვეს ამაზე. რანაირად დათანხმდებოდნენ, როცა ნახევარი პარლამენტი რაღაცას ეწეოდა. მაგათ ლიდერზე აღარაფერს ვამბობ. ან იმას შემოწმება რაში სჭირდებოდა, ყველამ ვნახეთ, რა მდგომარეობაში იყო მახათას მთაზე.

***– ამ პარლამენტშიც ხომ არ ეწევა ვინმე მარიხუანას?***

– მე რა ვიცი, ვინ რას ეწევა. ჩემი ამბავი თუ გაინტერესებთ, სიგარეტსაც არ ვეწევი. დეპუტატების არ ვიცი, მაგრამ საკომიტეტო მოსმენაზე, სადაც მარიხუანის დეკრიმინალიზაციის საკითხი განიხილებოდა, ისეთი ხალხი მოიყვანეს, აშკარად ეტყობოდათ მოწევის კვალი.

***– რაზე ეტყობოდათ?***

– ძალიან იყვნენ შენელებულები.

***– თქვენი კოლეგებისთვის ასეთი შენელება არ შეგიმჩნევიათ?***

– შემჩნევითაც შემიმჩნევია და ეჭვიც მაქვს, მაგრამ ასეთ რამეს მტკიცებულების გარეშე ვერავისზე იტყვი.

***– ზემოთ თქვით, ნაციონალებს პოლიტიკურად დავმარხავთო. წინა ინტერვიუში გვითხარით, ფსიქიატრიულში მოხვდებიანო და რაიმე შეიცვალა?***

– ფსიქიატრიული კარგად გამახსენეთ, სანამ დროა, მიმართონ ფსიქიატრებს, თორემ მერე მკურნალობას აღარ დაექვემდებარებიან.

## ნორბერტს როესგენი: „საქართველო ევროპასთან დაახლოებისთვის მზადაა“

– საქართველო მზადაა ევროპასთან დაახლოებისა და ევროპული კურსის განხორციელებისთვის, – განაცხადა ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნორბერტს როესგენმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მიხეილ ჯანელიძესთან შეხვედრის შეფასებისას.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, შეხვედრაზე მიმოიხილეს საქართველო-გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები და ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის დღის წესრიგი, ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებასა და გამოწვევებზე.

ბუნდესტაგის დეპუტატის განცხადებით, საქართველო ვითარდება როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით, რაც, ბუნდესტაგის დეპუტატის თქმით, ქვეყანას აუცილებლად მოუტანს სასურველ შედეგს.

– შეხვედრისას ჩვენ ვისაუბრეთ ორ ქვეყანას შორის არსებულ ნაყოფიერ ორმხრივ ურთიერთობებზე. ევროპის კომისიამ წამოიწყო ინიციატივა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. მე სრულიად მხარს ვუჭერ ამ ინიციატივას. იყო მკაფიო შეთანხმება, რომ საქართველოს უნდა შეესრულებინა გარკვეული მოთხოვნები და წინაპირობები, რაც, ჩემი შეხედულებით, საქართველოს მხრიდან შესრულდა. ახლა ჯერი ევროპულ მხარეზეა, შეასრულოს ეს შეთანხმება.

ჩვენ ორივემ დადებითად შევაფასეთ განხორციელებული პროგრესი და ვიმედოვნებთ, რომ ვიზალიბერალიზაციას მიმდინარე წლის განმავლობაში მივაღწევთ, – განაცხადა ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნორბერტს როეტგენმა.

ინტერპრესნიუსი

## თბილისში წელს 180.000 ნერგი დაირგვება

დედაქალაქში წელს 180.000 ნერგი დაირგვება, რისთვისაც 900.000 ლარია გათვალისწინებული. ამის შესახებ თბილისის მერიაში გამართულ შეხვედრაზე დედაქალაქის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა ნინო სულხანიშვილმა განაცხადა.



ნინო სულხანიშვილმა 2016 წლის გაზაფხულზე დედაქალაქში დაგეგმილი გამწვანების ღონისძიებების გეგმის პროექტი წარადგინა. პრეზენტაციას დედაქალაქის მერის მოადგილე ნანა ხატისკაცი და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც შეხვედრაზე ნინო სულხანიშვილმა განაცხადა, თბილისში წელს იგეგმება 180.000 ნერგის დარგვა, საიდანაც 80.000-ზე მეტი ძირი ხე საგაზაფხულო გამწვანების სამუშაოების დროს დაირგვება.

ნინო სულხანიშვილმა დაასახელა ის ტერიტორიები, სადაც ნერგების დარგვა მოხდება. კერძოდ, ნარგავები დაირგვება მახათას მთის მიმდებარე ტერიტორიაზე 15 ჰექტარ ფართობზე, ასევე ოქროყანაში გამხმარი და დაავადებული ხეებისაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე დაახლოებით 16 ჰექტარ ფართობზე, დიდ დიღომში, პატარა ლილოს ტერიტორიაზე და დედაქალაქის პარკებში, ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებში. სულ ქალაქში 311 ჰექტარ ტერიტორიებზე მოხდება დამატებით ხეების დარგვა.

ნინო სულხანიშვილის განცხადებით, საზაფხულო რგვების გეგმის პროექტი გამწვანების სამსახურმა ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლებისა და სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით მოამზადა, შერჩეულია ის წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის ხეები, რომელიც თბილისში და მის შემოგარენში უნდა დაირგოს, კერძოდ, ეს არის კვიპაროსი, ჰიმალაის კედარი, ფიჭვი, კავკასიური აკაკი, ცაცხვი, იფანი, არღავანი, ჰიბრიდული თუთა, ვერხვი და საპნის ხე. ნინო სულხანიშვილის განცხადებით, ეს სახეობები თბილისის კლიმატის შესაბამისად შეირჩა. წელს იგეგმება გარკვეულ ტერიტორიაზე წვეთოვანი მორწყვის სისტემის დანერგვა, რათა ახლად დარგული ნერგების გახარება მოხდეს.

გამწვანების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში 1,2-დან 3 მეტრამდე სიმაღლის ნერგები დაირგვება, ტყის აღდგენითი ღონისძიებების ფარგლებში კი 0,5-დან 1 მეტრამდე სიმაღლის ხე-მცენარეები. გარდა ნერგებისა, წელს თბილისში დაგეგმილია ასევე 20-ზე მეტი სახეობის 12.000 ცალი დეკორატიული ბუჩქის დარგვა, 20.000 კვადრატულ მეტრზე ბალახის საფარის მოწყობა და ერთი მილიონი ყვავილის დარგვა.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა გუჯაბიძე: „ივანიშვილს არ მოეწონება ის, რაც კოალიციაში ხდება“

## „ქართული ოცნება“ ამ ეტაპზე არ დაიშლება“

გულიკო ბალაძე

კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** კოალიციის შიგნით დაპირისპირებას მხარს არ უჭერს და მხარეებს კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს.

ბიძინა გუჯაბიძე კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლას ამ ეტაპზე გამორიცხავს. მისი თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია ძველი სუბიექტების შემადგენლობით გავა, თუმცა გუჯაბიძე ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილს კოალიციაში არსებული ვითარება არ მოეწონება.

***– ბატონო ბიძინა, კოალიციაში დიდი აურზაური და შიდადაპირისპირებაა. თქვენი პარტია როგორ უყურებს ამ პროცესს?***

– ჩვენ ყველა საქმიან კრიტიკულ მიდგომას მხარს ვუჭერთ, მაგრამ დაპირისპირებას არ ვემხრობით და ყველა მხარეს მოვუწოდებთ, ერთმანეთთან ურთიერთობებში კონსტრუქციულები იყვნენ. არასოდეს ვყოფილვართ სკანდალებისა და აურზაურის მომხრენი. ეს ვნებს შიდაპოლიტიკურ პროცესებს, პარლამენტში და მთლიანად საქართველოს მასშტაბით ცუდად მოქმედებს.

***– რა კრიტიკულ მიდგომებს ემხრობით თქვენ? მაგალითად, რა განცხადებებიც თოფაძემ გააკეთა, თქვენთვის მიუღებელია?***

– ვფიქრობ, უფრო კორექტულად შეიძლება კრიტიკული დამოკიდებულება გამოიხატოს. არცერთი მხრიდან საქმიანი არგუმენტები არ მომისმენია, კინკლაობას უფრო ჰგავს.

***– თოფაძესა და რესპუბლიკელებს შორის დაპირისპირება სათავეს საიდან იღებს?***

– არ ვიცი, მათ უნდა ვკითხოთ, რა მოტივაცია აქვთ. მე მასში არ ჩავერთვები, არაა ჩემი საქმე.

***– ანუ თქვენი პარტია არ აპირებს ამგვარ სკანდალებსა და კინკლაობაში ჩართვას, როგორც ამას უწოდეთ?***

– შეგვიძლია მხოლოდ ნეიტრალური პოზიცია დავიჭიროთ და ორივე მხარეს მოვუწოდოთ კორექტული და კონსტრუქციული დიალოგისკენ.

***– გამოითქვა ფრთხილი მოსაზრება კოალიციის დაშლაზე. მაგალითად, კალაძემ განაცხადა, ოდესმე ყველა კოალიცია იშლება და გასაკვირი არ არის, რომ „ქართული ოცნებაც“ დაიშალოსო. თქვენი აზრით, კოალიციის დაშლა მოსალოდნელია?***

– ამ ეტაპზე კოალიციის დაშლის საფრთხეს ვერ ვხედავ, თუმცა, თუ იდეალური მდგომარეობაა და ყველაფერი დალაგებულია, ყველა იდეოლოგიის ყველა პოლიტიკური სუბიექტი მოქმედებს, კოალიციის აუცილებლობა არ არის.

კოალიციის აუცილებლობა გამოიწვია სააკაშვილის რეჟიმის აღვირახსნილმა საქმიანობამ და ქმედებებმა. საერთოდ, მცირე კოალიციებისა და გაერთიანებების შექმნა იდეოლოგიურ ნიადაგზე შესაძლებელია, თუმცა ისეთი ჭრელი გაერთიანებების შექმნა, როგორიც ამჟამადაა, კარგ პირობებში სასურველი არ არის.

***– ახლა პოლიტიკური პროცესი ხომ ნორმალიზდა, რა ტრაგედიაა, ვთქვათ, თუკი ერთი-ორი სუბიექტი მოაკლდება კოალიციას. რამდენიმე პარტია მაინც ხომ რჩება?***

– მე მომხრე არ ვარ, რომ ძალით ვინმე შევაკავოთ კოალიციაში. ვისაც უნდა, გავიდეს, მაგრამ ჯერ ვერ ვხედავ კოალიციის დატოვების მსურველ პოლიტიკურ ძალას. არა მგონია, კოალიციის რომელიმე სუბიექტმა დამოუკიდებლად რაიმე მიზანს მიაღწიოს.



***– საარჩევნო პროცესში, ალბათ, უფრო მთავარია ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა. ხომ არავინ უარყოფს ამას? ვისაც ექნება ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, ის მეტ ხმებს მიიღებს.***

– ამას ვინ უარყოფს. თავისთავად ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი მნიშვნელოვანია. მის სიტყვებს ჯერ კიდევ დიდი წონა აქვს და, ალბათ, კარგა ხანს ექნება. ბიძინა ივანიშვილი რომ არა, სააკაშვილის რეჟიმს ვერავინ მოიცილებდა. ჩვენც ბევრი ვეცადეთ, მაგრამ არ გამოგვივიდა. ბევრი რამ იყო გასათვალისწინებელი, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნდა, ფინანსური რესურსი, ერთიანობისკენ მოწოდება, თუნდაც ის, რაც თავის დროზე ბიძინამ ბრძანა, თუ ჩემთან იმიტომ მოდიხართ, რომ რევოლუციის გზით წავიდეთ, მაშინ მე თქვენ გვერდით ვერ დავდგებიო. ეს იყო მესიჯი, რომ ბიძინა ივანიშვილს მშვიდობიანი გზით უნდოდა პოლიტიკური ვითარებისა და ხელისუფლების შეცვლა. კოალიციაში შემავალი სუბიექტები სწორედ ამ იდეამ გააერთიანა.

საბედნიეროდ, ყველამ დავინახეთ, რომ ამ მიდგომამ გაამართლა. პირველი მრავალპარტიული არჩევნებისა და პრეზიდენტის არჩევის შემდეგ (1990-91წ.წ.) ხელისუფლება მშვიდობიანი გზით არ გადაცემულა. რევოლუციები, სისხლიანი იყო თუ უსისხლო, ყოველთვის ანგრევდა ქვეყანას. ბიძინა ივანიშვილს აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება და ალღო, რომ ამ გზით არ წასულიყო, ნგრევისთვის ხელი არ შეეწყო.

***– კოალიციაში არსებულ დაპირისპირებაზე ბიძინა ივანიშვილს რა აზრი გააჩნია?***

– ვერ გეტყვით. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი ამ დაპირისპირების მიმართ დადებითად იყოს განწყობილი. მეტს ვერაფერს გეტყვით, მასთან არ მისაუბრია.

***– კულუარებიდან არც მისი აზრი მოგწვდომიათ?***

– პოლიტიკური ალღოთი ვგრძნობ, რომ ბიძინა ივანიშვილს არ ექნება კარგი დამოკიდებულება ასეთი მძაფრი დაპირისპირების მიმართ.

***– დარწმუნებული ხართ, რომ კოალიცია არ დაიშლება?***

– ამ არჩევნებისთვის კოალიციის დაშლის საფრთხე არ არის.

***– როგორ აპირებთ ორი დაპირისპირებული მხარის, რესპუბლიკელებისა და თოფაძის მორიგებას?***

– ჩვენ არ ვცდილობთ მომრიგებელი მოსამართლის როლში გამოსვლას. საპირისპირო მხარეებსაც ვერ ვხედავ. შეიძლება ეს იყოს პიროვნული დაპირისპირების მცდელობა და ისიც ისე ჩაცხრება, როგორც ბევრი პროცესი ჩამცხრალა.

***– ზოგი ფიქრობს, რომ ახლა კოალიციაში არის პოლიტიკური დუღილის პროცესი და შედეგად სხვა რეალობა დადგება.***

– ორი თანამებრძოლის არაკორექტულ დამოკიდებულებაში ჩვენ ვერ ჩავერთვებით, შევეცდებით, ძველი რიტორიკით გავაგრძელოთ ურთიერთობა. ერთი ან მეორე მხარის დაჭერა პროცესში ჩართვას ნიშნავს. ყოველთვის სტაბილურობის მომხრე ვიყავით და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ.

***– თქვენგან ზვიად ძიძიგურია პოლიტსაბჭოს წევრი?***

– პოლიტსაბჭოს წევრები ზვიად ძიძიგური და გიგა ბუკია არიან.

***– პოლიტსაბჭოზე დაპირისპირებულებს შერიგებისკენ მოუწოდებენ?***

– მოწოდება საჭირო არ არის. საკმაოდ დიდი გამოცდილების ადამიანები არიან, გონიერება არ აკლიათ და თვითონ მიხვდებიან, რომ ასეთი დაპირისპირებით ვერცერთი ძალა ვერ მოიგებს, მით უმეტეს – კოალიცია.

# მურმან დუმბაძე: „კოალიცია უნდა დაიშალოს“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის ვიცესპიკერი **მურმან დუმბაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო მურმან, კოალიციაში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, შეიძლება რესპუბლიკელები და მრეწველები შერიგდნენ თუ ორივეს დაატოვებინებენ კოალიციას?***

– ამ გადაწყვეტილებას ერთი ადამიანი მიიღებს. ეს საქმე იქნება ისე, როგორც ამას ბიძინა ივანიშვილი გადაწყვეტს. თუ ის ჩათვლის, რომ უნდა მორიგდნენ, ასეც მოხდება. თუ ჩათვლის, რომ უნდა გაიყარონ, გაიყრებიან.

მე კი ვფიქრობ, რომ თუ უნდათ, ღირსება იყოს შენარჩუნებული როგორც რესპუბლიკელებში, ასევე მრეწველებში, ან ორივე პარტია უნდა წავიდეს კოალიციიდან, ან – ერთ-ერთი მაინც. თუ ორივე პარტია დარჩება, მაშინ შევარცხვინე მათი ღირსებაც და მათი გაკეთებული საქმეც, თუ რამე გაუკეთებიათ.

***– შეიძლება კოალიცია დაიშალოს?***

– არაფერი არ არის გამორიცხული. თუ ივანიშვილი იტყვის, რომ დროა, დაიშალოს კოალიცია და ცალ-ცალკე ცადონ ბედი პარტიებმა, ასეც მოხდება. რაც უფრო მივუახლოვდებით საპარლამენტო არჩევნებს, იგივე პროცესები სხვა პარტიებში გადაინაცვლებს და მორიგი დაპირისპირების მოწმენი გავხდებით, თუმცა ამჯერად მთავარი გმირები სხვა პარტიები იქნებიან. მერე პარტიის წევრებს შორის მოხდება ჯანყი.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ არაჯანსაღია ეს ერთობა, რადგან ღირებულებების ირგვლივ არ არის შემდგარი. ამ ერთობამ თავისი თავი უკვე ამოწურა, როდესაც 2012 წლის 1 ოქტომბერს მოიპოვა გამარჯვება. ღირებულებები როდესაც არ არის საერთო, მაშინ ძალიან რთულია. ძაღლის თავი სიებშია დამარხული.

***– საპარლამენტო სიების გამო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს?***

– დიახ, კოალიციის სუბიექტები ერთმანეთის ჩაძირვაზე მუშაობენ, რომ მათ უფრო მეტი წევრი ჩასვან საპარლამენტო სიებში. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური კინკლაობა, რაც მათ შეიძლება დიდად სულაც არ ვნებთ, მაგრამ ეს ძალიან ვნებს სახელმწიფოს, რადგან აქ საუბარია მმართველ კოალიციაზე.




## გიორგი ქადაგიძე: „მემუარების წერა ჯერ ძალიან ადრეა“

საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი მისი



უფლებამოსილების ვადის ამოწურვას სოციალური ქსელის მეშვეობით ეხმიანება და აცხადებს, რომ, მიუხედავად შეცდომებისა, მისი მოღვაწეობის წლები შედეგიანი იყო.

– ძალიან საინტერესო, რთული, წინააღმდეგობებითა და მიღწევებით სავსე 7 (10) წელი იყო. იყო შეცდომებიც, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრი შევძელით. ჯერ მხოლოდ ასე შევაფასებ, მემუარების წერა ძალიან ადრეა!

მადლობა ყველას მხარდაჭერის, გულშემატკივრობისა და კრიტიკისათვის, – წერს ქადაგიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

**ნიუსპრესი**

## მაღაროელებს მომავალი წლის 1-ლ იანვრამდე არსებული საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ

მაღაროელებს მიმდინარე წლის 1-ლ იანვრამდე არსებული საგადასახადო შეღავათები შეუნარჩუნდებათ. ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა.

ფინანსთა მინისტრის თქმით, შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად უახლოეს მომავალში შევა.



– თქვენი დავალების შესაბამისად, ჩვენ მოვამზადეთ გარკვეული კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც მიმდინარე წლის 1-ლ იანვრამდე ჰქონდათ საგადასახადო შეღავათები, შეღავათები შეუნარჩუნდებათ და, უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება მაღაროელებს. ამ შეღავათების მოქმედება გაგრძელდება. ჩვენ ამის თაობაზე გვაქვს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტთან და აღნიშნული კანონპროექტი უახლოეს მომავალში იქნება ინიცირებული, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

**ინტერპრესნიუსი**



## ირაკლი ტრიპოლსკი: „მაჟორიტარებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის“

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის, დუშეთის მაჟორიტარ ირაკლი ტრიპოლსკის ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარულ ოლქებში წარსადგენ კანდიდატურებთან დაკავშირებით მმართველ გუნდში გადაწყვეტილებები ჯერ მიღებული არ არის.

ამასთან, კითხვაზე, დასახელდება თუ არა პირადად ის მაჟორიტარად კიდევ ერთხელ (საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, დუშეთი, თიანეთი და ყაზბეგი ერთ საზღვრებში გაერთიანდა), ტრიპოლსკიმ განაცხადა, რომ თუკი კენჭისყრაში მონაწილეობის საჭიროებას დაინახავს, ამას აუცილებლად გააკეთებს.

– არ ვიცი, საკითხი როგორ გადაწყდება. ამ ყველაფერზე პოლიტსაბჭოს სხდომაზე დავილაპარაკებთ. თუკი ჩემი ასაკის კაცი საჭირო ვარ, რომ კენჭი ვიყარო, აუცილებლად ვიყრი კენჭს. ეს თემები ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ვინც რა უნდა თქვას და რა ილაპარაკოს. სამწუხაროდ, უკვე ვამჩნევ იმას, რომ ძალიან ბევრმა ხალხოსნურ რაღაცებზე მოძრაობები დაიწყო, რათა ყურადღება მიიქციონ, – განუცხადა ინტერპრესნიუსს ირაკლი ტრიპოლსკიმ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რამაზ საყვარელიძე: „რესპუბლიკელებმა თოფაძის რეიტინგი საგრძნობლად გაზარდეს“

ნონა ცაბაძე

„ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი, ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აფასებს.

***— ბატონო რამაზ, რა პროცესი მიმდინარეობს დღეს უმრავლესობაში?***

— ერთი მხრივ, შეიძლება ის ითქვას, რაც ხშირად ითქმება როგორც უმრავლესობის მხრიდან, ისე რესპუბლიკელებისგან, რომ ეს არის პირადი დაპირისპირება და პოლიტიკური საფუძველი ამას არ აქვს. მაგრამ...

***— მაგრამ რა? ამის არავის სჯერა?***

— მეორე მხრივ, ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ პოლიტიკურმა განსხვავებებმა, რომლებიც არის მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის და რომლებიც ქვედა დინებად მიჰყვებოდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ცხოვრებას, ახლა ამოხეთქა. პიროვნულის გარდა, პოლიტიკურ დაპირისპირებასაც ხედავენ ამ ინციდენტში. რამდენადაც „ქართული ოცნება“ ეკლექტური წარმონაქმნია, ასეთი დაპირისპირებების ნალმები ჩადებულია მასში, როგორც კოალიციაში.

***— მართლა გაეზარდათ მადა რესპუბლიკელებს და ივანიშვილი მათ იმ ძალების მეშვეობით უპირისპირდება, ვინც ასე აქტიურობს?***

— როდესაც პოლიტიკური შეთავაზებები გაუკეთდათ რესპუბლიკელებს, მათ შორის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე და ასე შემდეგ, ეს იყო რაციონალური გათვლა.

***— გათვლა რასთან დაკავშირებით?***

— დასავლეთი სულ სვამს კითხვის ნიშნებს „ქართული ოცნების“ გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე, რუსეთისკენ არის იგი თუ დასავლეთისკენ და ამ გეოპოლიტიკურ ორიენტაციას, განცხადებების გარდა, სჭირდება მინიშნებები სხვადასხვა პოლიტიკური ნაბიჯიდან გამომდინარე. ერთ-ერთი კი არის საკადრო პოლიტიკაში გადადგმული ნაბიჯები.

***— ანუ?***

— დამაჯერებლობას გეოპოლიტიკური გეზი იღებს მაშინ, როდესაც საკვანძო ადგილებზე გყავს ის პოლიტიკოსები, რომლებიც შესაბამის გეოპოლიტიკურ ორიენტაციას ატარებენ.

***— მაშინ გამოდის, რომ რესპუბლიკელების მოშორება ამ კითხვის ნიშნებს უფრო გაზრდის ანუ ივანიშვილი რესპუბლიკელებისს და ამ პოლიტიკის მძევალია?***

— ტექსტი მე არ მითქვამს, თქვენ თქვით, მაგრამ ამ ლოგიკიდან ასე გამოდის.

***— რესპუბლიკელები მართლა ითხოვენ პრემიერ-მინისტრის პოსტს?***

— ვნახოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის ამბიციების გაზრდას კონკურენტები ეყოლება და ისინი ხელს სერიოზულად შეუშლიან. ერთ-ერთი გამოხატულება ამ ხელის შეშლისა შეიძლება აღმოჩნდეს ის პროცესი, რომელიც თოფაძის მხრიდან წამოვიდა.

***— თოფაძე მარტო არ აღმოჩნდა ამ ბრძოლაში. ბევრმა გამოხატა უკმაყოფილება რესპუბლიკელების მიმართ. ეს შეთანხმებული ქმედებაა?***

— თოფაძე მარტო არ არის. მას მერე, რაც დაიწყო ლაპარაკი კოალიციის სიების გადახედვაზე, კოალიციის ყველა წევრს გაუჩნდა იმის განცდა, რომ ან უნდა გაიმყარონ სიტუაცია კოალიციაში, ან რამე სხვა გამოსავალი ეძებონ. ამ ამოცანის გადაწყვეტაში რესპუბლიკელები თოფაძეს დაეხმარნენ.




***— რას გულისხმობთ?***

— ხიდაშელის უტაქტო ფრაზამ თოფაძეს საშუალება მისცა, შეტევაზე გადასულიყო და თავისკენ მიეზიდა ის ელექტორატი, რომელიც რესპუბლიკელების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. ეს შეიძლება ჩუმად გააკეთო და კაცმა ვერ გაიგოს, შეიძლება — ხმაურით და მაშინ უკვე მომხრეებს გაიმრავლებს თოფაძე. თოფაძემ ეს შანსი არ გაუშვა ხელიდან და რესპუბლიკელების ხელშეწყობით რეიტინგი გაზარდა. ახლა თოფაძე დამოუკიდებლად რომ გავიდეს არჩევნებზე, მას ხმების საკმაო რაოდენობა ექნება.

***— ანუ რესპუბლიკელებმა ხელი ნებით შეუწყვეს თოფაძის პოპულარიზაციას?***

— დაუფიქრებლობით, ასე გამოუვიდათ. ქართულ პოლიტიკაში დაუფიქრებლობა სერიოზული ფაქტორია.

***— უმრავლესობა პოლიტსაბჭოს სხდომის მოლოდინშია. კეთდება განცხადებები, რომ შესაძლოა ეროვნული ფორუმიც გამოაკლდეს კოალიციის რიგებს. ვინ დატოვებს და ვინ შეუერთდება „ოცნებას“?***

— ფორუმი მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩუმად იყო. აქტიურობდნენ ფორუმელები, ოღონდ არა როგორც პარტიის წევრები. არც პარლამენტის გარეთ უაქტიურიათ დიდად.

***— ეს რისი მანიშნებელია?***

— თუ ფორუმს ამოიღებენ შემადგენლობიდან, ეს დიდ სირთულეებს არ შეუქმნის „ქართულ ოცნებას“. განსხვავებით თოფაძის შემთხვევისგან, სადაც თუ თოფაძეს უარს ეტყვიან, ეს მოსახლეობის მხრიდან მთლიანად კოალიციის დამოკიდებულებაზე მოახდენს გავლენას.

***— რამდენად შეასუსტებს ეს პროცესი რესპუბლიკურ პარტიას?***

— რესპუბლიკურ პარტიას ძირითადი ძალა თავის ფუნქციაში აქვს. ეს ფუნქცია არის უცხოეთის ნდობა. ამდენად, მას ქართველი მოსახლეობის ნდობა არ აინტერესებს. შესაბამისად, „ქართულ ოცნებაში“ დარჩენაა რესპუბლიკელების მთავარი მიზანი ანუ ისეთ კოალიციაში ყოფნა, რომელიც ხმებს აიღებს და მერე ამათ გადმოუნაწილებს თავისი ამ ფუნქციის გამო. შესაბამისად, მათ შიდა რეიტინგს მნიშვნელობა არ აქვს.

***— გარე რეიტინგზე რას იტყვით?***

— გარერეიტინგში პირიქით მოხდა. ამ ინციდენტმა დადებითად გარერეიტინგში რესპუბლიკელებისთვის იმუშავა, რადგან ისინი დაუპირისპირდნენ იმ პოლიტიკოსს, რომელიც სტალინის სურათის დაბრუნების მომხრეა. ეს დასავლეთისთვის რესპუბლიკელების გმირობად იქნება მიჩნეული.

***— კულუარებში აქტიურად მიდის საუბარი საკადრო ცვლილებებზე მინისტრთა კაბინეტში. ეს მორიგი კარუსელი იქნება თუ სერიოზული ცვლილება?***

— კარუსელის ელემენტი არის ის, რომ ერთი უწყების მინისტრი მეორე უწყებაში ისევ მინისტრად გადადის. კარუსელის ელემენტი ყველა ტიპის ცვლილებაში იქნება და ეს არ არის გასაკვირი, რადგან მიდის ძიება, ესა თუ ის ადამიანი სად უფრო ეფექტურია. ამ ძიების დროს დასაკარგი არ არის მისი გამოცდილება.

***— მინისტრად ყოფნის გამოცდილება?***

— სავარძელში ყოფნის გამოცდილება, რადგან სავარძელსაც თავისი გამოცდილება უნდა, რომ არ გადაგრიოს და რამე სისულელე არ გაგაკეთებინოს ადამიანს. ასეთივე კარუსელი იყო პრემიერად კვირიკაშვილის გადაყვანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კვირიკაშვილმა ბევრი სიახლე შეიტანა პრემიერის ამპლუაში. ეს თანამდებობა მან მომრიგებლურ და ჰარმონიულ ფიგურად აქცია. ის რესურსი, რომელიც მასში ნაკლებად ჩანდა ეკონომიკის მინისტრობის დროს, მკაფიოდ გამოჩნდა პრემიერმინისტრობის შემთხვევაში.

ასე რომ, კარუსელი არ არის ცუდი, თუ კარგ შედეგს მოიტანს. რაც შეეხება ცვლილებებს, არა მხოლოდ კულუარებში, ზოგიერთი საჯაროდაც ამბობს, რომ ეს ცვლილებები იქნება.

# ნინო ბურჯანაძე: „ყველაფრის რესპუბლიკური პარტიისთვის გადაბრალება არასწორია“

## „ქვეყანა ფეოდალური მეთოდებით იმართება“

მარიამ მჭედლიშვილი

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უარყოფს ტელემედიით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს მისი გუნდი „ქართული ოცნების“ კოალიციაში რესპუბლიკური პარტიის არშეყვანას მოითხოვს.

— ჩვენ ასეთი რამ არ მოგვითხოვია. ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვის შეიყვანს ბიძინა ივანიშვილი კოალიციაში ან ვის გამოიყვანს კოალიციიდან, — განუცხადა ობიექტივს ნინო ბურჯანაძემ.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის განმარტებით, მის პარტიაში კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ როგორც რესპუბლიკელების, ისე მთლიანად კოალიციის მიმართ. აქედან გამომდინარე, არასწორია ყველაფრის რესპუბლიკური პარტიისთვის გადაბრალება, რისი ტენდენციაც გამოიკვეთა.

ნინო ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოაგვარა ვერცერთი სერიოზული პრობლემა და არ შეასრულა ხალხისთვის მიცემული დაპირებების 10%-ც კი.

**ნინო ბურჯანაძე:**

— კეთილი ინებოს ბიძინა ივანიშვილმა და გასცეს ხალხს პასუხი, რატომ არ შეასრულა დაპირებები? 4 წლის წინ ამბობდნენ, რომ თითოეულ სოფელს ექნებოდა 5 მილიონი. სად არის ეს 5 მილიონი? რატომ არ მიიღო არცერთმა სოფელმა არათუ 5 მილიონი, არამედ, 50 ათასიც კი? იყო დაპირება, რომ ხალხს კრედიტების დაფარვაში დაეხმარებოდნენ, რომ კრედიტის გამო ადამიანებს სახლებიდან არ გამოყრიდნენ. ხელისუფლებამ ვერ შეძლო 26 მაისის მოვლენების გამოძიებაც კი. ეს საქმე რომ გამოეძიებინათ, დამნაშავეებისთვის, მათ შორის, სააკაშვილისთვის ბრალი რომ წაეყენებინათ, დღეს რადიკალურად შეცვლილი იქნებოდა სიტუაცია. „ქართულმა ოცნებამ“ გააცოცხლა ნაციონალური მოძრაობა, რომელიც ახლა მყარად დგას ფეხზე.

პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ ქვეყანაში ჩამოყალიბდა მართვის მანკიერი სისტემა:

— ქვეყანა მიდის აბსოლუტურად არასწორი გზით. ქვეყანა იმართება ფეოდალური მეთოდებით. საქართველოს მართავს ადამიანი, რომელიც დამალულია და გამოჩნდება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ხეების გადარგვა-არგადარგვის საკითხი წყდება.



ნინო ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ თავისი წასვლით თანამდებობიდან ბიძინა ივანიშვილმა მოიხსნა პასუხისმგებლობა, მაგრამ ის არ ჩამოშორებია გადაწყვეტილებების მიღების, კონსულტაციების, ფიგურების გადაადგილების პროცესებს.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი „ქართულ ოცნებას“ საგარეო პოლიტიკასაც უწუნებს და ამბობს, რომ რუსეთიდან მან ქვეყნისთვის აუცილებელი გზავნილები ჩამოიტანა, მაგრამ ხელისუფლებამ ამის მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოამჟღავნა:

— ეს ხელისუფლება რომ უფრო გონივრული ყოფილიყო, რუსეთთან ვიზების მთლიანად გაუქმებას დიდი ხნის წინ მივიღებდით, ქართული პროდუქცია უფრო სრულყოფილად იქნებოდა წარმოდგენილი რუსეთის ბაზარზე, იმავდროულად, არ გაფორმდებოდა ხელშეკრულებები სოხუმთან და ცხინვალთან.

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ რადიკალიზმი რომელიმე სახელმწიფოს მიმართ ავნებს საქართველოს უსაფრთხოებას:

— საქართველოს უფლება არ აქვს, იყოს რადიკალურად დაპირისპირებული რომელიმე სახელმწიფოსთან. რუსეთთან ურთიერთობები არ ნიშნავს იმას, რომ დასავლეთთან უნდა გავწყვიტოთ თანამშრომლობა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე ანა დოლიძის კანდიდატურა წარადგინა



საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გუშინ ბრიფინგი გამართა და პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძის კანდიდატურა წარუდგინა.

პრეზიდენტის განცხადებით, ცოტა ხნის წინ პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძეს უფლებამოსილება შეუწყვიტა და, შესაბამისად, ის, ვაკანტურ პოზიციაზე პარლამენტს ანა დოლიძის კანდიდატურას წარუდგენს.

— ანა დოლიძე არის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში პრინციპულობითა და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ადამიანი, რომელიც, ასევე, თავისი პრინციპული, უშიშარი პოზიციით გამოირჩეოდა ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ, გირგვლიანის საქმეზე, წინა ხელისუფლების დროს, — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილის თქმითვე, მას იმედი აქვს, რომ ანა დოლიძე იმ ღირსებებსა და პრინციპულობას შეინარჩუნებს, რომლებიც მას წინა ხელისუფლების პირობებში ახასიათებდა. მისივე თქმით, იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს პარლამენტი რაც შეიძლება მალე დაამტკიცებს მის წარდგენილ კანდიდატს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე.

ნიუსპრესი

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „ოსიაური ჰესის“ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში.

დ) მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას, პერიოდულად განახორციელოს მდინარის კალაპოტის მონიტორინგი. ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გაჩერდეს სამუშაოები და ეცნობოს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას (სნგკ)-ს.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების წარმოებისას არ დააზიანოს მდინარე მტკვარზე არსებული (უბურჯო, საცალფეხო) ხიდი და მიმდებარე ტერიტორია.

ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგვეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე, „ჭალისუბნის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია $C_1$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 163 500 მ3).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგვეთის მიმდებარე ტერიტორია,

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

21 923 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

2192,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

11 162 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

5 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №2

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დურუჯზე, „ყვარლის„ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6 000 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქ.ყვარლის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

1 043 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

104,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

722 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

1 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №3

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წია) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ„ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ქ. თერჯოლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩხარის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 2 400 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ქ.თერჯოლის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

417 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

41,7 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

409 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2016 წლის 26 თებერვალს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**12. აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

ელექტრონული აუქციონი იწყება 2016 წლის 28 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2016 წლის 28 მარტს დღის 18:00 საათზე

**13. სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა**

1 წელი

**14. სხვა მონაცემები**

აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

## ობიექტი №4

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხრამის (უბანი თამარისი) ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია A+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 73 200 მ3 ).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თამარისის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

9 815 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

981,5 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

5 108 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

როგორც ირკვევა, ცხადაძემ ყველანაირად ცადა, ნეფთჩის ხელმძღვანელობას შეხვედროდა და თავისი კანდიდატურა შეეთავაზებინა. ცნობილია, რომ კლუბის მესვეურები უკმაყოფილონი არიან ამჟამინდელ მწვრთნელ ასკერ აბდულაევის მუშაობით, თუმცა საიტი აღნიშნავს, რომ ნეფთჩის საბოლოო პასუხი არ გაუცია ცხადაძისთვის.

– აზერბაიჯანის თასზე ნეფთჩი ხაზარს თუ ვერ გასცდება, დიდი შანსია, „მენავთობეთა“ ხელმძღვანელებმა აქტიური მოლაპარაკებები დაიწყონ ცხადაძესთან. ამ შემთხვევაში კი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბს მხოლოდ უნდა მივუსამძიმროთ, – წერს ერთ-ერთი ვებგვერდი.

სტატიაში აგრეთვე წერია, რომ ცხადაძე ჯერ ბაქოს ინტერში დაბრუნებას ცდილობდა, მაგრამ კლუბის მესვეურებისგან უარი მიიღო.

# მანჩესტერ იუნაიტედი ფიორენტინას ფორვარდით დაინტერესდა



მანჩესტერ იუნაიტედი კვლავინდებურად ცდილობს ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას. ამჯერად მისი ყურადღება ფიორენტინას ფორვარდმა ფედერიკო ბერნანდესკიმ მიიპყრო, რომელიც იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება.

მანჩესტერი მზად არის, 28 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ფიორენტინა მეტს ითხოვს და 40 მილიონ ევროზე ნაკლებად ბერნარდესკის გაშვებას არ აპირებს. ფედერიკო ბერნარდესკი 22 წლისაა და მის ანგარიშზე წლევანდელ სეზონში მხოლოდ 5 გოლია.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ნინო ხუციბერიძე ევროპის ვიცეჩემპიონია



უნგრეთის ქალაქ გიორში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ტყვიის სროლაში საქართველოს ნაკრების წევრი ნინო ხუციბერიძემ ახალგაზრდებს შორის ევროპის ვიცეჩემპიონი გახდა.

ახალგაზრდა ქართველმა მსროლელმა, რომელიც ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატის დებიუტანტია, ვერცხლის მედალი 10-მეტრიან დისტანციაზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მოიპოვა.

დიორში მან საკვალიფიკაციო ეტაპი 377 ქულით დაასრულა და ფინალურ ეტაპზე მეხუთე ადგილით შევიდა. ხუციბერიძემ ფინალშიც კარგად ისროლა და ფრანგ მატილდე ლამოლესთან ერთად ბოლომდე შემორჩა მარათონს.

დასკვნით სერიაში ფრანგი ოდნავ უფრო ზუსტი აღმოჩნდა და 198.4 ქულით ჩემპიონიც გახდა, ხუციბერიძემ კი 193.7-ით ვერცხლი მოიპოვა. მესამეზე ჩეხი დენისა ბეზდეჩა გავიდა 174.9 ქულით.

ამ ტურნირზე რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის 3-3 ლიცენზიაც თამაშდება. დღეს ევროპის ჩემპიონატში ვაჟები ჩაებმებიან, ჩვენგან კი ლიცენზიისთვის ცოტნე მაჭავარიანი და ლევან ქადაგიძე გაისვრიან.

ჩემპიონატი 27 თებერვალს ქალთა შეჯიბრებით დასრულდება, სადაც ასევე ორი მონაწილე გვეყოლება – ნინო სალუქვაძე და ლიზი კილაძე.

ნინო სალუქვაძეს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი


# სიტიმ მეოთხედფინალისკენ გაიწია



„გატეხა“ მეტოქე. მეორე გოლშიც ლომის წილი დაიდო.

**გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის მატჩები.**

**დინამო (კ) – სიტი 1:3**

**0:1 აგუერო (15), 0:2 სილვა (40), 1:2 ბუიალსკი (59), 1:3 ტურე (90)**

**დინამო**: შოვკოვსკი, დანილო სილვა (მაკარენკო 66), ხაჩერიდი, დრაგოვიჩი, ვიდა, იარმოლენკო, რიბალკა, გარმაში (ველოზუ 31), ბუალსკი, გონსალესი, ტეოდორცკი (მორაეში 46)

**სიტი**: ჰარტი, სანია, კომპანი, ოტამენდი, კლიში, ფერნანდო, ფერნანდინიო, სილვა, ტურე, სტერლინგი, აგუერო (იჰეანაჩო 90)

იოლი გასეირნება გამოუვიდა სიტის უკრაინის დედაქალაქში. მართალია, ერთ მომენტში თითქოს გამოჩნდა, რომ მატჩს ინტრიგა დაუბრუნდა, მაგრამ მთლიანობაში სტუმრები აკონტროლებდნენ მატჩს და როდესაც სურდათ, მაშინ უმატებდნენ.

პელეგრინის შეგირდებმა ყველაფერი პირველ ტაიმში გადაწყვიტეს და ამ უპირატესობას შინაურ არენაზე არ გაანიავებენ.

ანგარიში კუნ აგუერომ გახსნა – კიეველმა მცველებმა კუთხურისას საჯარიმოში მარტო დატოვეს და არგენტინელმაც შანსი გამოიყენა. ტაიმის ბოლოს აგუერომ ქუსლით მისცა ორიგინალური პასი რაჰიმ სტერლინგს, რომელმაც, თავის მხრივ, დავიდ სილვა მოძებნა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია – 0:2.

59-ე წუთზე ბუიალსკიმ სხვაობა შეამცირა და ამაში ძალიან წაეხმარა სიტის მცველი ოტამენდი. ცოტა ხანში მასვე დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ ჰარტმა დიდებულად ითამაშა.

მატჩის ბოლოს იაია ტურემ საჯარიმოს გარედან ლამაზი გოლი გაიტანა და მატჩს წერტილი დაუსვა – 1:3.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – სერხიო აგუერო

აგუეროს უამრავი მომენტი შეექმნა, მაგრამ გზად ძელი, ხარიხა, შოვკოვსკი ეღობებოდნენ. და მაინც პირველი გოლი მან გაიტანა, თანაც დასაწყისშივე და ამით „გატეხა“ მეტოქე. მეორე გოლშიც ლომის წილი დაიდო.

**პსჟ – ატლეტიკო 0:0**

**პსჟ: ზოეტი, არიასი, მორენო, ბრუმა, ვილემსი, პროპერი, გუარდადო (ჰენდრიქსი 75), ვან გინკელი, პერეირო, ნარსინგი (ისიმატ მირინი 65), ლოკადია (ლესტიენი 86)**

**ატლეტიკო**: ობლაკი, ხუანფრანი, სავიჩი, გოდინი, ფილიპე ლუისი, კოკე, გაბი, საულ ნიგეზი (კორეა 74), ო.ტორესი, ვიეტო (ფ.ტორესი 61), გრიზმანი

**გაძევება**: პერეირო (68)

როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩი ზედმეტად ფრთხილი გამოდგა. პსვ-ს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ საშინაო მატჩში გოლის გაშვება, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩენილიყო, ამიტომაც იყო, გამწვავებას რომ ერიდებოდა, რითიც ატლეტიკო უფრო კომფორტულად გრძნობდა თავს.

ორივე გუნდს თავში საპასუხო მატჩი უტრიალებდა. შედეგით ორივე კმაყოფილი დარჩა. ყველაფერი მადრიდში გადაწყდება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ხუანფრანი

ამ მატჩში მცველები აშკარად სჯობდნენ თავდამსხმელებს. განსაკუთრებით გამორჩეული იყო ხუანფრანი, რომელმაც არც პსვ-ს შემტევები გაახარა და, თუ ატლეტიკომ რაიმე ღირებული შექმნა, მხოლოდ მისი მონაწილეობით.

# პაულო დიბალა: „ყოველთვის იუვენტუსში მსურდა თამაში“



ბოლო დროს ევროპულ პრესაში ყველაზე გამორჩეული ფიგურა არგენტინელი ფეხბურთელი პაულო დიბალაა, რომელიც ტურინის იუვენტუსის ღირსებას იცავს.

არგენტინელი ფეხბურთელი კარგი იყო ჩემპიონთა ლიგის მატჩში მიუნხენის ბაიერნთან. სწორედ ამ დაპირისპირებაზე და ინტერთან მოახლოებულ თამაშზე საუბრობს დიბალა.

– უკვე არაერთხელ მოვისმინე, თითქოს ჩვენ ბოლომდე არ გვქონდა ბაიერნის ძალა გაცნობიერებული, რაც დიდი სისულელეა. კარგად გვესმოდა, რაოდენ დიდ ძალასთან გვიწევდა დაპირისპირება. პირველ ტაიმში რამდენიმე ეპიზოდი მაინც გვქონდა ნოიერის კარის ასაღებად, ხოლო მეორე გაშვებულმა ბურთმა რაღაც გამოაღვიძა ჩვენში და გაცილებით აგრესიულები გაგვხადა. შედეგმაც არ დააყოვნა და სწორედ ეს უნდა გახდეს საყრდენი წერტილი. ნებისმიერთან შეგვიძლია ტოლსწორად ასპარეზობა.

***– რას ელით საპასუხო მატჩში?***

– საბედნიეროდ, ბრძოლაში დაბრუნება მოვახერხეთ და ყველაფერი ჩვენს ხელშია. თუ მიზანდასახულები ვიქნებით და საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვირწმუნებთ, მაშინ სასურველი შედეგის მიღწევას აუცილებლად შევძლებთ. ტურინულმა მატჩმა აჩვენა, რომ გოლების პრობლემა ან შეტევების ორგანიზება ასეთ დიდ გუნდთანაც პრობლემას არ წარმოადგენს.

***– ჩემპიონთა ლიგაზე სადებიუტო გოლი გაიტანეთ.***

– ჩემპიონთა ლიგა საოცარი ტურნირია და გამორჩეული ემოცია მივიღე. გასულ მატჩებშიც ვცილობდი, მაგრამ მიზნის მისაღწევად ცოტა მაკლდებოდა. ეს გოლი მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური კუთხითაც.

***– და მაინც, გოლი განსაკუთრებულად არ გიზეიმიათ.***

– მსურდა, მაგრამ როდესაც საკუთარ სტადიონზე ორი ბურთით მარცხდები, ეს წარმატებისკენ მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯი იყო.

***– უკვე იცით, როგორ უნდა იბრძოლოთ ბაიერნის წინააღმდეგ?***

– გაცილებით მეტ ხანს უნდა ვამყოფოთ წნეხში და ტემპი არ უნდა დავაგდოთ. შეუძლებელია ისეთ სტილში ასპარეზობა მთელი 90 წუთი, როგორც ამას ბაიერნი ახორციელებდა. გასათვალისწინებელია მათი თამაშის ფილოსოფია. გერმანელები მიჩვეულნი არიან ბურთის ტოტალურ ფლობასა და მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეში რიცხობრივი უპირატესობის შექმნას. რთული შეხვედრა გველის, მაგრამ შეგვწევს ძალა, ისე ვიასპარეზოთ, როგორც უკანასკნელ 30 წუთში.

***– მომდევნო მატჩი ინტერთან გაქვთ, რომლის მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი თქვენ მიმართ დადებითად არის განწყობილი.***

– მას ჩემი გადაბირება სურდა და დამიკავშირდა კიდევაც, მაგრამ თავაზიანი უარით გავისტუმრე. მიზეზი მარტივია, პირველივე დღიდან მხოლოდ იუვეში ყოფნა მსურდა. ვიცოდი, რომ ტურინელები მაკვირდებოდნენ და ეს სასიამოვნო იყო. სიამაყით მავსებდა ჩემ მიმართ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდის ყურადღება.

***– თქვენ ძალიან გადარებენ თანამემამულე იკარდის, რომლის წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში ამ უქმეებზე.***

– რადიკალურად სხვა ტიპის თავდამსხმელები ვართ. იკარდი უფრო ცენტრფორვარდის პოზიციაზე ირჯება, მე კი – მეორე შემტევის. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ მას მანჯუკიჩს შევადარებთ. სწორედ ისინი არიან ერთი სტილის მოთამაშეები. იკარდი ჩინებული თავდამსხმელია და, იმედი მაქვს, არგენტინის ნაკრებში ერთად თამაშის საშუალება მოგვეცემა.

# ბაიერნს 3 მილიონ ევროს სძალავდნენ

გერმანულმა პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც მიუნხენის ბაიერნს 3 მილიონ ევროს სძალავდა. 63 წლის პენსიონერი ამიერიდან გერმანულ კლუბს სიმშვიდეს ვეღარ დაურღვევს.

გამომძალველი ჰერალდ ზირნგიბლია, რომელმაც კლუბს თებერვალში ორი მუქარის წერილი გაუგზავნა. პენსიონერი იმუქრებოდა, რომ თუკი 3 მილიონ ევროს არ გადაუხდიდნენ, სტადიონის მოედანზე ან არენის პარკინგზე უპილოტო საფრენ აპარატს ჩამოაგდებდა.

ჰერალდი ერთ მილიონს 500-ევროიან კუპიურებად, მეორე მილიონს 1.000-ფრანკიან კუპიურებად, დანარჩენს კი ფასის შესაბამის, 0,5-იდან 1,1-მდე კარატის ბრილიანტებად ითხოვდა. მოგვიანებით მან მოთხოვნა შეცვალა – მეორე წერილში 500-ევროიანი კუპიურების 200-იანებით ჩანაცვლება მოითხოვა.

გერმანული მედიის ინფორმაციით, პოლიციამ ეჭვმიტანილის დასაკავებლად სპეციალური 100-კაციანი კომისია შექმნა. გამომძალველი ორშაბათს დააკავეს. როგორც ირკვევა, ბატონი ჰერალდი ძარცვისთვის ადრე არაერთგზის ყოფილა ნასამართლევი.

## შედეგები

**24 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო (კ)-სიტი | 1:3 |
| პსვ-ატლეტიკო | 0:0 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრაგა-სიონი | 2:2 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| რედინგი-როტერჰემი | 1:0 |
| დერბი-ბლექბერნი | 1:0 |

## გოჩა ბუაჩიძეს!

გილოცავთ
დაბადების დღეს!
26 თებერვალს შეგისრულდა
45 წელი. გისურვებთ ჯანმრთელობასა
და ბედნიერ ცხოვრებას
შენი შვილებით.
ღმერთი იყოს შენი მფარველი!
მამა ვაჟა ბუაჩიძე, ძმა დათო და
რძალი ზიზი, თავისი შვილებით

# აშშ-მ და პოლონეთმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ახალი ბაზის აშენების თაობაზე



აშშ-ის თავდაცვის უწყებამ და პოლონეთის მთავრობამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც პოლონეთში, ქალაქ რაძიკოვოში, ამერიკული ბაზის აშენებას ითვალისწინებს. იქ ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას განალაგებენ.

– ამ ხელშეკრულებისკენ ჩვენ წლების განმავლობაში მივდიოდით. მისი გაფორმება პოლონური დიპლომატიის უდიდესი მიღწევაა, – აცხადებს პოლონეთის პრეზიდენტი დუდა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# სირიაში რუსი ოფიცრები ააფეთქეს



სირიელმა პარტიზანებმა ლატაკიაში რუსი ოფიცრები ააფეთქეს. ოპერაცია მაშინ ჩატარდა, როცა რუსები თათბირზე შეიკრიბნენ.

აფეთქების შედეგად დაღუპულია 15 რუსი ოფიცერი, ბევრი დაჭრილია.

დაჭრილი რუსი ოფიცრები საავადმყოფოში მოათავსეს. რუსული თვითმფრინავები ჰაერში აიჭრნენ, რათა სირიელი პარტიზანების პოზიციები დაებომბათ.

# ესტონეთში ნატოს ქვედანაყოფები შევლენ



ესტონეთის თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ ტერასის ცნობით, უახლოესი დღეების განმავლობაში ქვეყანაში ნატოს დამატებითი ქვედანაყოფი შევა.

საუბარია ერთობლივ გერმანულ-ფრანგულ კონტინგენტზე.

– ესტონეთში უკვე იმყოფებიან ამერიკელი ჯარისკაცები. მათ ესტონელებთან საერთო ენა ძალიან სწრაფად გამოძებნეს, – თქვა ტერასმა.

ესტონეთის თავდაცვის მინისტრის ცნობით, მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის 98 წლისთავის ზეიმს ნატოელი ოფიცრებიც დაესწრებიან.

– ნატო ჩვენი დამოუკიდებლობის გარანტია, – თქვა ტერასმა.

# ყაზახეთის ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელი შინაპატიმრობაში მოათავსეს



ალმა-ატაში ყაზახეთის ჟურნალისტთა კავშირის ხელმძღვანელ მატაევის სასამართლო პროცესი შედგა.

მას კორუფცია და სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით მითვისება დასდეს ბრალად.

მატაევის პროცესი დახურული იყო. ფართო საზოგადოება მას არ დაასწრეს.

მატაევი შინაპატიმრობაშია აყვანილი, მისი ადვოკატები კი წაყენებულ ბრალდებებს უარყოფენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ფინელებმა ლტოლვილებისთვის მულტფილმები გადაიღეს

ფინეთში ლტოლვილებისთვის ორი მულტფილმი გამოუშვეს, რომელთა მიზანს მათთვის ქვეყნის კანონებისა და წესების გაცნობა წარმოადგენს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ვიდეორგოლში მოთხრობილია, თუ როგორ უნდა შეეგუოს ლტოლვილი ფინეთში ცხოვრებას. პირველ ვიდეორგოლში განსაკუთრებულად ხაზგასმულია, რომ პოლიციელებს უნდა ენდონ და რომ ისინი ქრთამს არ იღებენ, ექიმს შეიძლება ყველაფერი მოუყვე და რომ შენი მონათხრობი საიდუმლოდ დარჩება. გარდა ამისა, ისიცაა ნათქვამი, რომ ფინეთში კაცები და ქალები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ.

მეორე რგოლში ლტოლვილებს უხსნიან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ქცევის წესებსა და ფინური საზოგადოების ყოველდღიურ ნორმებს. მაგალითად, აღნიშნულია, რომ ფინელები აფასებენ საკუთარ პირად ფართობს და ყოველთვის მშვიდად და ხმადაბლა საუბრობენ.



გარდა ამისა, ვიდეორგოლების ავტორი ლტოლვილებს განუმარტავს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, როდესაც ფინელები სვამენ და ხმამაღლა ლაპარაკს იწყებენ. ასეთ დროს, უბრალოდ, უნდა გაერიდონ.

განსაკუთრებულად აღნიშნულია ის ფაქტი, რომ ფინელებს უყვართ კარტოფილი, თუმცა განმარტებული არ არის.

– ფინეთი საცხოვრებლად საუკეთესო ადგილია, – ასეთი ფრაზით სრულდება ვიდეო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## განცხადებები

### მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ასტროპროგნოზი
## 26 თებერვლისათვის



**ვერძი** – დღეს შემოქმედებით დაკავდით. შესაძლოა თქვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალოს. დახმარებას ნუ ელით ნათესავებისა და მეგობრებისგან. **კურო** – პასიური დღეა. არ ღირს ქალაქგარეთ გასვლა. უმჯობესია, თუ სახლში დარჩებით და დროს ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარებთ. **ტყუპები** – ბიუჯეტი ნელა, მაგრამ მაინც გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან კონტაქტი დღესვე დაამყარეთ, ხოლო შედეგი მხოლოდ თქვენს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ, ასევე, ნუ ეცდებით ახალი სამსახურის ძებნას. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. კოლეგებთან, მეგობრებთან და ნათესავებთან საუკეთესო ურთიერთობა გაქვთ. მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობა. **ქალწული** – ენერგიულად ხართ. კარგი პერიოდია ძველ მეგობრებთან შესახვედრად, სამოგზაუროდ. რასაც ჩაიფიქრებთ, ყველაფრის რეალიზებას მოახერხებთ. **სასწორი** – ნუ გადაიღლებით. ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა. ახალი საქმის დაწყება არ ღირს. იყავით თავდაჯერებული და იმ სიძნელეებს არ შეუშინდეთ, რომლებიც დღეს შეგხვდებათ. **მორიელი** – ყველაფერს მოასწრებთ, თუ დროს სწორად გაანაწილებთ. თამამად იმოქმედეთ და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ. **მშვილდოსანი** – ჰარმონიული და გაწონასწორებული დღეა. ძალიან მოგიხდებათ ფიზიკური დატვირთვა, ფიტნესი, ცურვა. დღის მეორე ნახევარში თამამად შეუდექით ჩანაფიქრის განხორციელებას. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან. **თხის რქა** – თუ დამოუკიდებლად იმოქმედებთ და, ამასთანავე, რეალობის აღქმას არ დაკარგავთ, შანსი მოგეცემათ, ჩანაფიქრი სრულად განახორციელოთ. პირად ცხოვრებაში იმედგაცრუება გელით. **მერწყული** – ფრთხილად იყავით, რისკი გამართლებული არ არის, თუმცა დღეს, შესაძლოა, ოცნება აგიხდეთ. მიხედეთ ჯანმრთელობას. **თევზები** – ყოველგვარი კონტაქტი მინიმუმამდე დაიყვანეთ. ყველა შეხვედრა გადადეთ. მოსალოდნელია არაკეთილმოსურნე ადამიანთა ნეგატიური ზეგავლენა.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. დიპლომატიური წარმომადგენელი; 2. ძვირფასი სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მინერალი; 3. თვალის დაავადება – სიელმე; 4. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 5. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 9. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 14. ჩეხური ლუდი; 15. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 16. ნიადაგის გასანოყიერებელი ნივთიერება; 19. მაღალხარისხოვანი არომატული სპირტიანი სასმელი; 20. აჭარული ცეკვა; 21. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

**თარაზულად**: 6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე; 7. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 8. პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტი აშშ-ში; 11. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 12. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 13. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 17. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ფედერიკო ფელინის მხატვრული ფილმი; 22. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 23. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 24. ნიადაგის სათხრელი მანქანა; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მუშამბა; 2. თრუსო; 3. კანცლერი; 4. ინგლისი; 5. ბაღდადური; 9. სონატა; 12. ბოიკოტი; 14. პეპელა; 15. ერბო; 17. კურსი; 18. ჯამე.

**თარაზულად:** 6. შულერი; 7. ჰაბანერა; 8. იანუსი; 10. გინზა; 11. კარაბინერი; 13. ოპონენტი; 16. კოზაკი; 19. აერობუსი; 20. სარასატე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქუთაისში; 2. თეორემა; 3. ადიულტერი; 4. სტელსი; 5. ტრანსი; 9. დასტა; 10. პრატერი; 14. პრიორიტეტი; 15. მორჩილაძე; 16. ადაჟიო; 19. ჯანდარა; 20. ხანძთა; 21. ბისონი.

**თარაზულად:** 6. ვუნდერკინდი; 7. როიტერი; 8. ბაიერი; 11. ლაფსუსი; 12. ამირა; 13. რეგენტი; 17. გოლზუორთი; 18. ანდალუზია; 22. შარდონე; 23. იდიოტია; 24. ერდოგანი; 25. რეოსტატი.

# მარო მაყაშვილის მედლის ავტორს პლაგიატში ადანაშაულებენ




დამოუკიდებლობისთვის თავდადებული გმირი ქალის მარო მაყაშვილის მედლის ავტორს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე პლაგიატში ადანაშაულებს.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოში დამოუკიდებლობისთვის თავდადებული გმირი ქალის მარო მაყაშვილის მედალი შეიქმნა. 19 თებერვალს დაცემული გმირი ქალის სახელობის მედალზე გამოსახულია ია, როგორც გაზაფხულის პირველი ყვავილი და როგორც სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო.

– მედალი შეიქმნა დამოუკიდებლობისთვის თავდადებული გმირი ქალის უკვდავსაყოფად, რომ ქვეყნის სამხედრო სამსახურში მყოფი ქალებისთვის არსებობდეს ღირსებისა და პატივის საზომი.

95 წლის წინ საქართველოს ოკუპაციამ განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობის 70-წლიანი წყვეტა, რამაც შეუძლებელი გახადა საბჭოთა პერიოდში პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, 1921 წელს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირების სახელმწიფოებრივი დაფასება. მაშინ როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება და ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, დამოუკიდებლობისთვის თავდადებული გმირების ხსოვნის უკვდავყოფა, მათი მაგალითების თვალსაჩინოდ ასახვა სახელმწიფო პოლიტიკაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობის მატარებელია, – წერია საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე კი მარო მაყაშვილის მედლის ავტორს პლაგიატში ადანაშაულებს:




– კარგი რა, რომ ატეხავთ ხოლმე ყვირილს, სომხებმა რაღაც მოგვპარესო, უნიჭო ქართველმა დიზაინერმა ბევრი არ იფიქრა, ნაჩქარევად შეკვეთილ და ნაჩქარევად გაკეთებულ ახალ მარო მაყაშვილის მედალზე გასული წლის სომეხთა გენოციდის 100 წლისთავისთვის შექმნილი სიმბოლო მოიპარა და დაატყეპა ამ სრულიად უგემოვნოდ გაკეთებულ მედალს, თან ნეზაბუდკა, ქართულად კესანი, იად გამოაცხადა.

ჰერალდიკის საბჭომ კი არა და პლაგიატის საბჭომ უნდა განიხილოს ეს საკითხი. ძაან უხერხულია.

# მატიე ფლამინი არსენალს დატოვებს

ლონდონის არსენალი მატიე ფლამინისთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზაფხულში ფლამინი თავისუფალი აგენტი იქნება.

თვითონ ფეხბურთელს სურდა არსენალში დარჩენა, მაგრამ ლონდონური გუნდის ხელმძღვანელობა მის სურვილს არ იზიარებს. ფლამინი არცთუ ხშირად თამაშობს არსენალის ძირითად შემადგენლობაში, ხოლო ბარსელონასთან შეხვედრაში ის ცვლილებაზე გამოვიდა და ზუსტად ერთ წუთში მის უხეშობას ლონდონელთა კარში თერთმეტმეტრიანის დანიშვნა მოჰყვა.

შესაძლოა, ამ ფაქტორმაც იმოქმედა და მატიე უკვე



არსენალისთვის საჭირო აღარ არის.

ფლამინი წარსულში რამდენიმე წლის განმავლობაში მილანის ღირსებას იცავდა, ხოლო არსენალში 2013 წელს გადავიდა სათამაშოდ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები ვეფხია და ნატო კიკაბიძეები, რძალი ქეთევან ვერულაშვილი, სიძე ნოდარ ზენაიშვილი, შვილიშვილები ლაშა, ქრისტინე, თათია, გიორგი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**თალიკო ბილისეიშვილი-კიკაბიძის**

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: კვირას, 28 თებერვალს, 14 საათზე, აბაშის რაიონი, სოფელი გულხეთი.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# თბილისი ევროპის საუკეთესო ქალაქების ჩამონათვალშია

საქართველოს დედაქალაქი ევროპის საუკეთესო ქალაქების ჩამონათვალშია.

– ევროპული ქალაქები, რომლის ნახვასაც ვერასდროს იფიქრებდით, თუმცა ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ, – ასეთი სახელწოდებით აქვეყნებს სტატიას მსოფლიოში ცნობილი გამოცემა ტელეგრაფი.

გამოცემამ ევროპის ის 21 ქალაქი დაასახელა, რომლებიც მოგზაურობის მოყვარულებმა აუცილებლად უნდა მოინახულონ. ჩამონათვალში საქართველოს დედაქალაქთან ერთად მოხვდა იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ხორვატიის, მაკედონიის, შვედეთის, საფრანგეთის, ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის, პოლონეთის, ბულგარეთის, დანიის, უნგრეთისა და სლოვენიის ქალაქები.



სტატიის ავტორის ინფორმაციით, თბილისის ისტორიულ უბნებში ახალი სასტუმროებისა და სავაჭრო ცენტრების ნახვაა შესაძლებელი. თბილისის გამორჩეულ თაყვანისმცემელთა შორისაა მსოფლიოში ცნობილი ქართველი მომღერალი ქეთი მელუა:

„თბილისი ისტორითაა გაჟღენთილი, ის ბევრ ტურისტს ჯერ კიდევ არ უნახავს, რაც მას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის", – ციტირებს ტელეგრაფი ქეთი მელუას სიტყვებს.

# ბაჩი ქიტიაშვილი ფილტვის სიმსივნეს ებრძვის

ქართული როკის ლეგენდა, ანსამბლ „ბერმუხას" დამაარსებელი ბაჩი ქიტიაშვილი უმძიმეს მდგომარეობაშია. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ფილტვის სიმსივნეს ებრძვის.



ინფორმაციას ბაჩი ქიტიაშვილის უახლოესი მეგობარი ვანდა ხუციანიძე ავრცელებს და სპეციალურ ვიდეოჩანაწერსაც აწვდის როკის ლეგენდის მოყვარულებს:

– ბაჩი ქიტიაშვილი – „ადამიანი ლეგენდა" უმძიმეს მდგომარეობაში, მეოთხე სტადიის ფილტვის სიმსივნის დიაგნოზით იმყოფება საპატრიარქოს კლინიკის თერაპიულ განყოფილებაში (არამიანცთან). დღეს მსურდა ტელეფონზე მოკითხვა და ბაჩის ნაცვლად მისმა მეუღლემ მიპასუხა, მომიყვა ეს საშინელი ამბავი, რომ ბაჩი სიცოცხლეს ებრძვის.

დაუყოვნებლივ წავედი ბატონი ბაჩის მოსანახულებლად საავადმყოფოში. რაც ვნახე, სიტყვით ვერ გადმოვცემ და არც კადრი არ გადამიღია, მაგრამ ერთი ვიცი, რაიმე გზა უნდა ინახოს, რომ ბატონ ბაჩი ქიტიაშვილს სათანადო მკურნალობა ჩაუტარდეს და უკეთესობისკენ წავიდეს. დეტალებს აღარ მოგიყვებით, რა იყო და როგორ, რადგან ამის გადაღებაც ვერ შევძელი, იმდენად შემზარა საერთო მდგომარეობამ ადამიანის, რომელიც ჩემთვის ლეგენდაა და არა მარტო ჩემთვის.

მუსიკოსის კოლეგებმა უკვე გადაწყვიტეს, რომ ბაჩის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარონ და მას უმძიმესი მდგომარეობა ოდნავ მაინც შეუმსუბუქონ.

ბაჩი ქიტიაშვილი ერთგული მსმენელის წინაშე ბოლოს 4 წლის წინ წარდგა, როდესაც „ბერმუხას" საიუბილეო კონცერტი მეგობრებთან ერთად ჩაატარა. „ბერმუხა" თავის დროზე ერთადერთი დამოუკიდებელი მუსიკალური ჯგუფი იყო, რომელიც მაშინდელი რეჟიმის იდეოლოგიას უპირისპირდებოდა როგორც მუსიკით, ისე ცხოვრების წესით. გასული საუკუნის 70-იან წლებში კი გაჩნდნენ „ბერმუხას" მსგავსი კოლექტივები.

– „ბერმუხა" დისიდენტური ჯგუფი იყო. ჩვენ რომ დაკვრა დავიწყეთ, იმ დროს სხვა ჯგუფებიც უკრავდნენ და ისინიც დისიდენტები იყვნენ. ყველაფრის მიუხედავად, აქცენტი მაინც „ბერმუხაზე" კეთდებოდა, ჩვენზე უთითებდნენ, ესენი აფუჭებენ და რყვნიან ახალგაზრდებსო. ამის მიუხედავად, კომუნისტების დროს ნამდვილი პატრიოტებიც არსებობდნენ. ესენი იყვნენ უბრალო ადამიანები, რეჟისორები, მუსიკოსები. საბჭოთა უშიშროების რამდენიმე ჩინოსანი რამდენჯერმე დაესწრო ჩვენს კონცერტს, უშიშროებაში დამიბარეს და თქვეს, რატომ წერენ თქვენზე უარყოფით კოლექტიურ წერილებს, ჩვენ მათ აწი აღარ განვიხილავთო.

ანსამბლი „ბერმუხა" 12 წლის განმავლობაში ზენიტში იყო. მისი წევრები უწყვეტი კონცერტების სერიას მართავდნენ, მოგზაურობდნენ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, ჩავიდნენ მოსკოვში, სოჭში, კიევში, ხარკოვში, სადაც მათი კონცერტები სრული ანშლაგით ტარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლი ასეთი პოპულარული იყო, მათი ალბომი გამოცემული არ არის:

– მაქვს „ბერმუხას" 70-იანი, 90-იანი წლების ჩანაწერები, რომლებიც მეგობრებმა გაგვიკეთეს, მაგრამ არ ჩანს სპონსორი, რომელიც ამის გამოშვებას დააფინანსებს. იმ ჩანაწერების ხარისხი ნორმალურია და კომპაქტის გამოშვება შეიძლება, მაგრამ ჩანაწერებს დალაგება უნდა, რასაც დრო და ხარჯები ნამდვილად სჭირდება. მიუხედავად ამისა, რაც უნდა დამიჯდეს, მაინც ვეცდები, „ბერმუხას" საუკეთესო სიმღერების კრებული მაინც გაკეთდეს, რათა მომავალ თაობებს ჩვენი ჯგუფისგან რაღაც მაინც დარჩეს, – ამბობს მუსიკოსი, რომელსაც კოლეგებისა და საზოგადოებისგან ახლა თანადგომა და მხარდაჭერა ყველაზე მეტად სჭირდება.

# „ვეფხისტყაოსნის" 100 უნიკალური გამოცემა გამოფენილია

2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ამასთან დაკავშირებით საქართველოში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებაა დაგეგმილი, რომლებიც შოთა რუსთაველსა და მის პოემა „ვეფხისტყაოსანს" მიეძღვნება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში „ვეფხისტყაოსნის" 100 უნიკალური გამოცემა გამოიფინა. მათგან ყველაზე ძველი 1888 წელს არის დაბეჭდილი და მიხაი ზიჩის ნახატებითაა გაფორმებული.

ექსპოზიცია ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იუნესკოს გადაწყვეტილების მხარდასაჭერად გამართა. გამოფენა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში რამდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# დიეტა ზღარბისთვის

ზღარბი, სახელად ჰოგზილი, რომელიც ინგლისის საგრაფო უილშირში მდებარე თავშესაფრის ბინადარია, დიეტაზე იქნა გადაყვანილი იმის გამო, რომ მეტად მოიმატა წონაში და ფეხბურთის ბურთის ზომის გახდა.

ამჟამად ის იმდენადაა გასუქებული, რომ საფრთხის შემთხვევაში დაგორგვლას ვერ ახერხებს, როგორც ამას ჩვეულებრივი ზღარბები აკეთებენ. ასე რომ, მისი ბუნებაში გაშვების შემთხვევაში, ზღარბზე მტაცებლის თავდასხმის დროს ის სრულიად დაუცველი იქნება.

ჰოზგილის წონა 1,8 კილოგრამს აჭარბებს, რაც ოთხჯერ აღემატება ჩვეულებრივი ზღარბის წონას. აღსანიშნავია, რომ ზღარბის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მისი ადრინდელი პატრონის დამსახურებაა. ცხოველთა თავშესაფარში ზღარბი არა მხოლოდ დიეტაზე დასვეს, არამედ საკვებისთვის განკუთვნილი ჯამი საცხოვრებლიდან მოშორებით დაუდგეს, რათა ამით მისი ფიზიკური დატვირთვა გაიზარდოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

## პროგრამა

პარასკევი
26 თებერვალი

**06.30** მუსიკა **07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ადამიანი კამერით" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/ფ "მხიარული ფერმა" **15.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" **21.30** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**გორილები ნისლში**"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" – ხრეშის კარიერის იდუმალი ცხოვრება **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** მხ/ფ "**რიგით რაიანის გადასარჩენად**" (მ. დეიმონი) **02.40** მხ/ფ "**ძილის წინ**" **04.10** ერთხელ საქართველოში **05.30** მხ/ფ "**კოდი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30, 01.00,** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00, 15.30** Discovery ფილმების მეცნიერება **10.00, 17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ცენტრი**" **16.30** აირჩიე კაბა **20.00** ცოლები და ქმრები **20.30 20.30 22.00** მხ/ფ "**სუინი ტოდი დემონი-დალაქი ფლიტ-სტრიტიდან**" **0.00**ID Extra სასჯელს თითქმის გავექეცი **1.00, 2.55** URBAN STORIES **1.55** ჯიდიპედია

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.00** ერთსულოვანი ოჯახი **11.30** ღვთის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" **12.10** პორტრეტები **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** დ/ფ "ყინულის სამყაროში" **16.30** კონცერტი **17.10** ტელეზღაპრები "ჭკუა და იღბალი" **17.30** მიწათმოქმედი "მარხვა და შაქარი" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ფონდი **20.00** თაობა ზეტი "ქველმოქმედება და აქტიურობა" **20.40** ძილი ნებისა "ქრისტე ყველას სიხარულით იღებს თავის ოჯახში" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ხმა უდაბნოში-დავით გარეჯი" II ფ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ფერიცვალების დედათა მონასტერი" **00.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.30** სერ. "**კარმელიტა** **15.00** "კონტაქტი სამზე" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 3.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4853

ევრო — 2.7286

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.46

100 რუსული რუბლი — 3.2212

## ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისთვის






კალეიდოსკოპი

## ტურისტების ჯიპს თავს მარტორქა დაესხა



ინტერნეტში გავრცელდა კადრები, თუ როგორ ესხმის თავს მარტორქა ნამიბიის ეროვნულ პარკ ეშტონში ტურისტების მანქანას.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ მარტორქა მიემართება გზისკენ, სადაც ტოიოტას ჯიპია გაჩერებული. მანქანამდე რამდენიმე ათეული მეტრიდან მან სიჩქარეს მოუმატა, გაქანდა და გვერდიდან დაეჯახა, შემდეგ რამდენიმე მეტრით უკან დაიხია და შეტევა გაიმეორა.

ამის შემდეგ მანქანა ადგილიდან დაიძრა, ხოლო ცხოველს თავდასხმის გამეორება აღარ უცდია. მანქანაში მყოფთაგან არავინ დაშავებულა.

ტურისტების თქმით, გიდმა მათ განუმარტა, რომ ასეთი რამ იშვიათად ხდება. საერთოდ კი, შავი მარტორქები, რომლებიც აფრიკის სამხრეთ ნაწილში ბინადრობენ, თავიანთი აგრესიული ქცევისა და ნებისმიერ უცნობ ობიექტზე თავდასხმის მისწრაფების გამო საფრთხის შემცველ ცხოველად მიიჩნევიან.

## კიმ კარდაშიანმა შვილის ფოტოსურათი გამოაქვეყნა



რეალიტი-შოუს ვარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა პირველად გამოაქვეყნა თავისი შვილის სეინტ უესტის ფოტოსურათი და ის თავისი გარდაცვლილი მამის 72 წლის იუბილეს მიუძღვნა. ბავშვის სურათი კიმმა საკუთარ ვებგვერდზე განათავსა.

– დღეს მამაჩემის დაბადების დღეა. ვიცი, რომ მისთვის საკუთარი შვილიშვილის გაცნობაზე მნიშვნელოვანი არაფერია და ამიტომ მინდა, სეინტის ეს ფოტოსურათი ყველა თქვენგანს გავუზიარო, – დაწერა კარდაშიანმა.

კიმ კარდაშიანი და კანი უესტი მშობლები მეორედ 2015 წლის დეკემბრის დასაწყისში გახდნენ. ფოტოსურათის გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე უესტს ჰკითხეს, აპირებდნენ თუ არა ის და მისი მეუღლე მესამე ბავშვის გაჩენას. ცნობილმა რეპერმა ასეთი შესაძლებლობა არ გამორიცხა.

## დანიაში საკვები ნარჩენების სუპერმარკეტი გაიხსნა

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მომხმარებლებს კარი გაუღო მსოფლიოში პირველმა საკვები პროდუქტების ნარჩენების სუპერმარკეტმა ვიფუდმა.

სუპერმარკეტის მფლობელები იმედოვნებენ, რომ ასეთი მაღაზიების დახმარებით შესაძლებელი იქნება დანიაში საკვები ნარჩენების რაოდენობის შემცირება. დღეისათვის იქ ყოველწლიურად 700 ათას ტონამდე საკვები იყრება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სუპერმარკეტი მომხმარებლებს პროდუქციას ჩვეულებრივ სუპერმარკეტებთან შედარებით 30-50 პროცენტის ფასდაკლებით თავაზობს.

ასეთი მაღაზიის შექმნის იდეას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა დანიის გარემოს დაცვის მინისტრმა ევა კიერ ჰანსენმა. მისი აზრით, ასეთი სუპერმარკეტები მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს საკვები პროდუქტების ნარჩენებთან ბრძოლაში.

– სასაცილოა, რომ საკვები, უბრალოდ, იყრება ან ნარჩენებში მიდის. ეს ცუდია გარემოსთვის და ეს არის ფული, რომელიც არაფერში დაიხარჯა, – განაცხადა მინისტრმა.

ახალი სუპერმარკეტის გახსნის ინიციატივას დანიის პრინცესა მარი არა მხოლოდ დადებითად გამოეხმაურა, არამედ მის გახსნაშიც მიიღო მონაწილეობა.



# 1 მარტიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

## დონალდ ტრამპი

## იფიქრე ჩემპიონივით




**დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა.**

**ამჟამად ის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის და ყოველდღე შოკში აგდებს მსოფლიოს რადიკალური ქცევითა და განცხადებებით.**

**დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი სისხლსავსე ცხოვრება.**



## კაფუმ ნეიმარი მესისა და რონალდუზე წინ დააყენა

ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა კაფუმ თავის თანამემამულე ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ტექნიკით მესისა და კრიშტიანო რონალდუზე უკეთესია:

– დღესდღეობით ნეიმარი მსოფლიოში ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელია. ამ კომპონენტში ის მესისა და რონალდუზეც ძლიერია. მიხარია, რომ ჩემს ქვეყანას ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, როგორიც ნეიმარია და მასზე მომავალში დიდ იმედებს ვამყარებ.

კაფუ 2002 წელს ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი იყო, როდესაც ბრაზილიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მეხუთედ მოიგეს.

კაფუს იმედი აქვს, რომ ამის გაკეთებას ნეიმარიც მოახერხებს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

## გურიამ პანამელი ფორვარდი იყიდა



საფეხბურთო გუნდი გურია პანამელი ფორვარდით, კარლოს სმალით, გაძლიერდა.

ეს ფეხბურთელი 20 წლის არის და აქამდე პანამის ჩემპიონატში გამოდიოდა, სადაც 2 წლის განმავლობაში 16 გოლის გატანა შეძლო.

გარდა ამისა, სმალი პანამის 20-წლამდე ნაკრების წევრიც არის და ძირითად შემადგენლობაში ხშირად თამაშობს. სავარაუდოდ, გურიაში დებიუტი მას უახლოეს დღეებში ექნება.

გურიაში უკვე თამაშობს პანამელი ფეხბურთელი ჯამალ როდრიგესი, რომელიც ქართულ კლუბს ზამთარში შეუერთდა.

გურია ამჟამად საქართველოს ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-13 პოზიციას იკავებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



## იუმორი

კაცს სიდედრი მოუკვდა და მეკუბოვესთან მივიდა მოსალაპარაკებლად. მეკუბოვე ეუბნება:

– მუხის 300 ლარი დაგიჯდება.

– ოჰ, მაგი ნამეტანი ძვირია.

– მაშინ კაკლისას გაგიკეთებ 200 ლარად.

– ეგეც ნამეტანია.

– კარგი, მაშინ თხილისას გავაკეთებ, თლა მუხისას დავამსგავსებ და 100 ლარი მომეცი.

კაცს ესეც რო ეძვირა, ბოლოს მეკუბოვე ეუბნება:

– რას გეტყვი, იცი, მომიტანე მაშინ შენი სიდედრი და სახელურებს გავუკეთებ სულ მუქთად.

•••

უცხოეთში ცოლთან ერთად სამუშაოდ წასული შვილი ერთი წლის შემდეგ დედას ურეკავს და ეუბნება:

– დედა, ცოლმა იმშობიარა, ოღონდ ბავშვის სანახავად რომ მივედი, ვნახე, რომ ბავშვი ზანგია. ცოლი მეუბნება, რომ თეთრი დაიბადა, მაგრამ რძე არ ჰქონდა და ძუძუ ზანგის ქალმა აწოვა და ამიტომაც გაშავდაო... შეიძლება ეგეთი რამე მომხდარიყო?

– რა ვიცი, აბა შვილო, შენ რო გაგაჩინე, რძე არც მე მქონდა და ძროხის რძეს გაჭმევდი, მაგრამ რქები მაშინვე კი არა, მხოლოდ ახლა ამოგსვლია...

•••

ორი კაცი ქარხანაში თავაუღებლად მუშაობს. ბოლოს ერთს მობეზრდა მუშაობა და მეორეს ეუბნება:

– მორჩა, ყელში ამომივიდა ყველაფერი, სახლში მივდივარ.

– კი მაგრამ, ჯერ სმენა არ დამთავრებულა.

– მიყურე, როგორ უნდა.

ახტა და მაღლა გადებულ ბოძზე თავდაყირა ჩამოეკიდა. ეს უფროსმა დაინახა, მივიდა და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– ნათურა ვარ და ვანათებ.

– შენ რა, მთლად გაუბერე, წადი სახლში და დაისვენე.

მუშა ჩამოხტა და გასასვლელისკენ მიდის, მეორე მცირე ხანს ჩაფიქრდა და უკან მიჰყვა. უფროსი ეკითხება:

– შენ სადღა მიდიხარ?

– სახლში, სიბნელეში ხომ ვერ ვიმუშავებ?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ლეღვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 2. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 3. დაავადებული ორგანოს სრული ან ნაწილობრივი მოკვეთა; 4. კუთხე საქართველოში; 5. რაიმეს განვითარების მიმართულება; 9. ავსტრიელი ექიმი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 12. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 14. ფიგურული სახაზავი; 15. უბანი თბილისში; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

**თარაზულად**: 6. ბადრიჯნითა და პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 7. ვირტუოზი ქართველი ხელბურთელი; 8. პოპულარული სამთო-სათხილამურო კურორტი შვეიცარიაში; 10. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 11. წყლის შიში; 13. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 19. ქალაქი ბელგიაში, სადაც განთავსებულია „ნატოს“ შტაბ-ბინა; 20. სმენის განსავითარებელი ვოკალური სავარჯიშო.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

